ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა სსიპ - საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის მიზნით განხორციელებული შეფასების შესახებ

ფაქტობრივი ინფორმაცია დაწესებულების შესახებ

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) დირექტორის 2019 წლის 10 ივლისის N599 ბრძანების შესაბამისად, 29-30 ივლისს განხორციელდა ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი სსიპ - საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის მიზნით, ექსპერტთა ჯგუფის შემდეგი შემადგენლობით:

- ეკატერინე აზარაშვილი, ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტი (თავმჯდომარე);
- ვახტანგ ბაბუციძე, (წევრი)
- ხათუნა საგანელიძე, ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტი (დამსაქმებელი, წევრი);
- მაკა გველესიანი, ჯორჯიან სერვის გრუპი (დამსაქმებელი, წევრი)
- თინათინ გაბრიჩიძე, შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი (სტუდენტი-ექსპერტი)

საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის მიერ ცენტრში წარდგენილი განაცხადის (03.06.2019, რეგისტრაციის N693037) თანახმად, დაწესებულების სურვილია სტუდენტთა კონტინგენტი გაიზარდოს 400 ადგილით (ჯამში შეადგენდეს 1200 ადგილს). უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2016 წლის 13 დეკემბრის N31 გადაწყვეტილების საფუძველზე, დაწესებულების სტუდენტთა კონტინგენტი განისაზღვრა 800 ადგილით.

უნივერსიტეტის წარმომადგენლებმა კონტინგენტის გაზრდის საჭიროება პროგრამებზე სტუდენტთა მოთხოვნის მზარდი ტენდენციით ახსნეს. მათ განაცხადეს, რომ მიმდინარე ეტაპზე უსდ-ს მხოლოდ 23 თავისუფალი ადგილი აქვს მობილობის მსურველთათვის და სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გაზრდის გარეშე, 2020-2021 სასწავლო წლისათვის ვერ შეძლებენ სტუდენტების მიღებას.

რეესტრის მონაცემების მიხედვით ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სასწავლო უნივერსიტეტს ერიცხება სულ 641 სტუდენტი, საიდანაც 537 სტუდენტი არის აქტიური სტატუსით, ხოლო სტატუსი შეჩერებული აქვს 104 სტუდენტს. უნივერსიტეტს ერიცხება უცხო ქვეყნის მოქალაქე 7 სტუდენტი, საიდანაც 6-ს აქტიური სტატუსი აქვს.

ჩარიცხვის დინამიკა ბოლო სამი წლის მონაცემებით

ჩარიცხვის მეთოდი	2016	2017	2018
ერთიანი ეროვნული გამოცდები	113	133	153
საერთო სამაგისტრო გამოცდები	6	9	13
უცხოეთში მიღებული განათლების აღიარება	7	6	0
ჯამი	126	148	166

უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი სტუდენტების განაწილება პროგრამებისა და საფეხურების მიხედვით

პროგრამა	საფეხური	აქტიური	მოთხოვნილი
ფიზიკური აღზრდა და სპორტი (მწვრთნელი)	ბაკალავრიატი	240	100
ფიზიკური მედიცინა და რეაბილიტაცია	ბაკალავრიატი	250	120
ბიზნესის ადმინისტრირება	ბაკალავრიატი	0	100
ფიზიკური აღზრდა და სპორტი	მასწავლებლის ერთწლიანი პროგრამა (60 კრ.)	0	70
ფიზიკური აღზრდა და სპორტი (მწვრთნელი)	მაგისტრატურა	6	4
ფიზიკური მედიცინა და რეაბილიტაცია	მაგისტრატურა	9	6
სპორტის მენეჯმენტი	*მაგისტრატურა*	8	4
ჯამი		**513**	**404**

კონტინგენტის გაზრდის ვიზიტის მიზნებისა და მოსალოდნელი შედეგების გათვალისწინებით, ექსპერტთა ჯგუფმა დოკუმენტების შესწავლისა და ინტერვიუების წარმართვისას ძირითადი აქცენტები გააკეთა უნივერსიტეტის მხრიდან ადამიანური, მატერიალური და ფინანსური რესურსების დაგეგმვის პროცესზე.

ვინაიდან სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმები ემსახურება ინსტიტუციის რესურსების დაგეგმვას სტრატეგიული მიზნების მისაღწევად, ექსპერტთა ჯგუფმა გაანალიზა უნივერსიტეტის სტრატეგიის დოკუმენტი და მისი შესრულების პროგრესი არსებულ და დაგეგმილ რესურსებთან ურთიერთკავშირში.

კონტინგენტის მომატების მიზნით ორგანიზებული ვიზიტის მიზნებიდან გამომდინარე ექსპერტთა ჯგუფმა შეფასება განახორციელა მხოლოდ იმ სტანდარტების/სტანდარტების მოთხოვნებთან მიმართებით, რომელიც დაკავშირებულია სტუდენტების ადგილების რაოდენობის გაზრდასთან.

ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემული რეკომენდაციები:

1. უნივერსიტეტის სტრატეგიული გეგმა მოითხოვს ავტორიზაციის მოქმედ სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანას. გამომდინარე იქიდან, რომ კონტინგენტის გაზრდა უკავშირდება ინსტიტუციურ ზრდას და განვითარებას, ეს უნდა ემყარებოდეს აქამდე არსებული სტრატეგიული გეგმის შესრულების რეალურ შედეგებს;

2. გადასახედია კონტინგენტის დაგეგმვის მეთოდოლოგია და შესამუშავებელია ქმედითი მექანიზმი სტუდენტების რაოდენობასა და საჭირო რესურსებს (ადამიანური, მატერიალურ-ტექნიკური) შორის ლოგიკური კავშირების განსაზღვრის მიზნით;
3. უნივერსიტეტში მიმდინარე პროცესების ეფექტიანობის და მდგრადობის უზრუნველყოფისა და გაუმჯობესების მიზნით, მნიშვნელოვანია გადაიხედოს ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები;
4. სტუდენტთა ინდივიდუალური გეგმების შემუშავების დროს რეკომენდირებულია უნივერსიტეტის მარეგულირებელი დოკუმენტით გათვალისწინებული პროცედურების დაცვა;
5. რეკომენდირებულია უნივერსიტეტმა განსაზღვროს პროგრამის შედეგების მიღწევის სამიზნე ნიშნულები;
6. რეკომენდირებულია უნივერსიტეტმა შეიმუშავოს საკვლევ თემასთან რელევანტური კითხვარები და მოახდინოს შესაბამისი სტატისტიკური ანალიზი სტუდენტთა მიღწევების შესახებ;
7. დაინერგოს პერსონალის შეფასების სისტემა;
8. პერსონალთან მიმართებით შემუშავდეს სამიზნე ნიშნულები საგანმანათლებლო და კვლევითი საქმიანობის ეფექტურად წარმართვის მიზნით;
9. პერსონალის (აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული, ადმინისტრაციული) საჭირო რაოდენობების განსაზღვრა მოხდეს საგანმანათლებლო პროგრამებზე სტუდენტთა მიღების საპროგნოზო მაჩვენებლების ჭრილში;
10. გადაიხედოს ადამიანური რესურსების მართვის სამსახურში დასაქმებული პერსონალის უფლება-მოვალეობები;
11. აუცილებელია კარიერული განვითარების სერვისების განვითარება და სისტემატიზებული სახით ჩამოყალიბება, შესაბამისი სტრუქტურული ერთეულის ან პირის გამოყოფა სტუდენტთა დახმარებისა და კონსულტირებისთვის, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია კონტინგენტის გაზრდის შემთხვევაში;
12. როგორც არსებული, ასევე დაგეგმილი სტუდენტთა კონტინგენტის დროულად და ეფექტურად მომსახურებისთვის, რეკომენდებულია დაწესებულებამ დროულად დანერგოს სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონული სისტემა;
13. რეკომენდირებულია საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამების სტუდენტების სამეცნიერო-კვლევით საქმიანობაში ჩართვა და საუნივერსიტეტო სტუდენტური კონფერენციების მოწყობა;
14. უსდ-მ უნდა შეიმუშავოს ახალგაზრდა კადრების კვლევაში/სახელოვნებო საქმიანობაში მოზიდვისა და მხარდაჭერის ეფექტური სისტემა;
15. მოსაწესრიგებელია სანიტარული კვანძები და წარმოსადგენია სანიტარული ნორმების დაცვის დამადასტურებელი დოკუმენტი;
16. წარმოსადგენია გათბობისა და ვენტილაციის სისტემების გამართულად მუშაობის დამადასტურებელი დოკუმენტი;
17. უსდ-მ უნდა უზრუნველყოს ხანძარ-საწინააღმდეგო უსაფრთხოების ეფექტური მექანიზმების შემუშავება;
18. უსდ-მ უნდა უზრუნველყოს პირველადი სამედიცინო დახმარების კაბინეტის ცხელი წლით მომარაგება და ბუნებრივი წესით განიავების მუდმივი შესაძლებლობა;

19. უსდ-მ უნდა უზრუნველყოს შენობის ადაპტირება სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირთათვის;
20. უზრუნველყოფილ იქნას ვებ-გვერდის გამართულად მუშაობა და განთავსებული ინფორმაციის რეგულარული განახლება;
21. ბიუჯეტის დაგეგმვისას გათვალისწინებული იქნას და წინასწარ დაიგეგმოს უნივერსიტეტის საქმიანობისთვის და განვითარებისთვის საჭირო ფინანსური რესურსები, მათ შორის: ბიბლიოთეკის განვითარებისთვის, კვლევების დაფინანსებისთვის, სტუდენტთა კვლევით პროექტებში ჩართვის, სტუდენტთა სტიპენდიების, ინფრასტრუქტურის განვითარებისა და სხვ. რაც უზრუნველყოფს ფინანსების ეფექტიან ხარჯვას;
22. რისკების შესამცირებლად, რეკომენდირებულია უნივერსიტეტმა იზრუნოს დაფინანსების წყაროების გაზრდასა და მათ დივერსიფიცირებაზე;
23. უნივერსიტეტმა დასახოს გეგმა შრომითი ანაზღაურების ხვედრითი წილის შემცირებაზე, რაც უზრუნველყოფს უნივერსიტეტის განვითარებისთვის გამოყოფილი ფინანსური რესურსების ზრდას;
24. რეკომენდებულია სტრატეგიული განვითარების გეგმის შედგენაში ფინანსური სამსახურის მონაწილეობა, რათა განსაზღვრული სტრატეგიული მიზნები და სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული აქტივობები ფინანსურად მიღწევადი იყოს.

ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემული რჩევები:

1. ინტერნაციონალიზაციის გაძლიერების მიზნით, მნიშვნელოვანია ადგილობრივ და საერთაშორისო ბაზარზე მოთხოვნადი უცხოენოვანი პროგრამებისა და სასწავლო კურსების განვითარება და დანერგვა;
2. უნივერსიტეტს გადადგმული აქვს ქმედითი ნაბიჯები სტუდენტთათვის გაცვლითი პროგრამების შეთავაზების მიზნით, თუმცა, სტუდენტთა არსებული თუ დაგეგმილი კონტინგენტისთვის საერთაშორისო შესაძლებლობების შეთავაზების მიზნით, მან თავისი ძალისხმევა უნდა მიმართოს გაცვლითი პროგრამების რიცხვის ზრდაზე, მათ ამოქმედებასა და სტუდენტთა მობილობის დაწყებაზე;
3. კონტინგენტის ზრდასთან ერთად, სასურველია გაიზარდოს სტუდენტთა ინიციატივების დაფინანსება;
4. სასურველია, სტუდენტებისათვის სასწავლო კურსებზე რეგისტრაციის უფრო მოქნილი მექანიზმის შემუშავება.

დასკვნა:

აბიტურიენტებისა და სტუდენტების ინტერესებიდან გამომდინარე, ექსპერტთა ჯგუფი რეკომენდაციას იძლევა სტუდენტთა კონტინგენტის 400 ადგილით გაზრდაზე მხოლოდ შემდეგი პირობების დაკმაყოფილების შემთხვევაში:

1. თუ უსდ ავტორიზაციაზე განაცხადის ცენტრში წარდგენამდე (ავტორიზაციის ვადა ეწურება 2020 წლის 19 მაისს), არსებული (2014-2019 წწ) და ახალი (2020-2026 წწ) სტრატეგიული განვითარების გეგმების საფუძველზე შეიმუშავებს და წარმოადგენს გარდამავალ სამოქმედო გეგმას 1.2 სტანდარტის მოთხოვნების დაცვით;
2. თუ არაუგვიანეს 2020 წლის 19 მაისისა დაწესებულება უზრუნველყოფს შენობის მდგომარეობის შესაბამისობაში მოყვანას ავტორიზაციის 7.1 სტანდარტთან;
3. თუ 1-ლი და მე-2 პუნქტით შესასრულებელი აქტივობები გამყარებული იქნება უსდ-ის ბიუჯეტითა და მის ბალანსზე არსებული მატერიალური და ფინანსური რესურსით, რის დადასტურებასაც უსდ უზრუნველყოფს ავტორიზაციაზე განაცხადის ცენტრში წარდგენამდე.

სტანდარტი 1.

უნივერსიტეტს გააჩნია სტრატეგიული განვითარების გეგმა (2014-2019). აღნიშნულ გეგმაში 2014 წლის შემდეგ ცვლილებები არ განხორციელებულა, შესაბამისად არ არის შესაბამისობაში ავტორიზაციის სტანდარტის მოთხოვნებთან. აღნიშნული ფაქტი მიუთითებს სტრატეგიული დაგეგმვისა და გეგმის შესრულების მონიტორინგის მექანიზმების არაეფექტურობაზე.

უნივერსიტეტს შემუშავებული აქვს სტრატეგიული განვითარების გეგმის პროექტი (2020-2026). ვინაიდან უნივერსიტეტის წარმომადგენლების მხრიდან ითქვა, რომ გეგმა ჯერ პროექტის სახითაა ჩამოყალიბებული და შეიძლება, რომ შეიცვალოს, ვიზიტის მიზნებიდან გამომდინარე ექსპერტთა ჯგუფმა მიზანშეწონილად არ მიიჩნია დეტალების შესწავლა და ანალიზი, თუმცა შეაფასა სტრატეგიული დაგეგმვის პროცესი, რომლის შედეგად გამოიკვეთა უნივერსიტეტის შიდა და გარე დაკავშირებული მხარეების პროცესში ჩართვის ნაკლებობა.

მტკიცებულებები:

- სტრატეგიული განვითარების გეგმა 2014-2019
- სტრატეგიული განვითარების გეგმა 2020-2026
- ინტერვიუები.

რეკომენდაციები:

1. უნივერსიტეტის სტრატეგიული გეგმა მოითხოვს ავტორიზაციის მოქმედ სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანას. გამომდინარე იქიდან, რომ კონტინგენტის გაზრდა უკავშირდება ინსტიტუციურ ზრდას და განვითარებას, ეს უნდა ემყარებოდეს აქამდე არსებული სტრატეგიული გეგმის შესრულების რეალურ შედეგებს.

სტანდარტი 2.

წესდების მიხედვით, სასწავლო უნივერსიტეტის მართვის ორგანოებია (მმართველი სუბიექტები): აკადემიური საბჭო, წარმომადგენლობითი საბჭო, რექტორი, ადმინისტრაციის ხელმძღვანელი (კანცლერი), ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური.

სასწავლო უნივერსიტეტი ორი ფაკულტეტით არის წარმოდგენილი:

- მწვრთნელთა;
- ფიზიკური მედიცინისა და რეაბილიტაციის.

ფაკულტეტის მართვის ორგანოებია ფაკულტეტის საბჭო და დეკანი.

აკადემიური და წარმომადგენლობითი საბჭოების დაკომპლექტების წესი შესაბამისობაშია უმაღლესი განათლების კანონის მოთხოვნებთან.

სასწავლო უნივერსიტეტს შემუშავებული აქვს კონტინგენტის განსაზღვრის წესი, რომელიც დამტკიცებულია აკადემიური საბჭოს მიერ 2018 წლის 12 დეკემბრის სხდომაზე. უნივერსიტეტში აკადემიური პერსონალის რაოდენობის საფუძველზე სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრა ხდება ფორმულით. აკადემიური პერსონალის რაოდენობების მიხედვით სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობა სამჯერ აღემატება უნივერსიტეტის მიერ მოთხოვნილ 400 ადგილს.

აკადემიური საბჭოს წარმომადგენლებმა განაცხადეს, რომ ჩართული იყვნენ კონტინგენტის დაგეგმვის პროცესში, თუმცა როგორ მოხდა საჭირო ადგილების განსაზღვრა და ამასთან დაკავშირებით შესაბამისი რესურსების დაგეგმვა, ექსპერტთა ჯგუფმა პასუხი ვერ მიიღო. წარმომადგენლობითი საბჭოს განახლებული შემადგენლობის გამო, ასევე რთული აღმოჩნდა კონტინგენტის განსაზღვრის მეთოდოლოგიის მათთან განხილვა.

ინტერვიუების პროცესში ასევე გამოვლინდა, რომ ადამიანური რესურსების მართვის სამსახური არ ყოფილა ჩართული სტუდენტების რაოდენობის გაზრდისათვის საჭირო ადამიანური რესურსების შეფასებაში. ვიზიტის ფარგლებში გამოიკვეთა, რომ მატერიალური რესურსების გადახედვა არ მომხდარა კონტინგენტის გაზრდის მიზნებისათვის.

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დებულების თანახმად, მისი მუშაობის არეალი მოიცავს:

- ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის შემუშავებას;
- პროგრამებისა და მისი კომპონენტების განხილვა, მონიტორინგი, პერიოდული შეფასება;
- აკადემიური პერსონალისა და სასწავლო კურსების შეფასების კითხვარების შემუშავება;
- მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შეფასება;
- საინფორმაციო სისტემების გამართული ფუნქციონირება.

გარდა დებულებით მინიჭებული უფლებამოსილებისა, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური წარმოადგენს გადაწყვეტილების მიმღებ ძირითად რგოლს სტუდენტთა მობილობის დროს კრედიტების აღიარების პროცესში, რაც ინტერვიუების შედეგად გამოიკვეთა.

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის საქმიანობის არეალის შესწავლისას, ასევე გამოიკვეთა, რომ ადმინისტრაციული პროცესების და მასთან დაკავშირებული რესურსების უწყვეტი შეფასება და ანალიზი არ განეკუთვნება სამსახურის კომპეტენციას. იმ ვითარებაში, როდესაც ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ითავსებს სტრატეგიული დაგეგმვის ფუნქციებს, მნიშვნელოვან გამოწვევას წარმოადგენს სტრატეგიულ მიზნების, ამოცანებისა და რესურსების ერთმანეთთან დაკავშირება.

სასწავლო უნივერსიტეტს შემუშავებული აქვს ბიზნეს-პროცესების უწყვეტობის გეგმა (დამტკიცებულია აკადემიური საბჭოს მიერ 2017 წლის 26 მარტის სხდომაზე), რომლის თანახმად რისკები დაყოფილია შემდეგ კატეგორიებად:

- მატერიალურ-ტექნიკური რესურსების განადგურება ან დაზიანება;
- კომუნალური მომსახურების სისტემის დაზიანება ან შეფერხება;
- საინფორმაციო-ტექნოლოგიური სისტემის მწყობრიდან გამოსვლა, დაზიანება ან მომსახურების შეფერხება;
- დაფინანსების შემცირება.

ის ფაქტი, რომ უნივერსიტეტის მატერიალური რესურსების მდგრადობა არ არის უზრუნველყოფილი (იხ.7.1), ასევე 2017 წლის შემდეგ ვერ მოხერხდა ალტერნატიული დაფინანსების წყაროს მოძიება (იხ.7.4), ხოლო საინფორმაციო სისტემა სასწავლო პროცესის მართვისათვის მუშაობაში (იხ.7.3) განიცდის შეფერხებას, მიუთითებს არსებული გეგმის არაეფექტურობაზე.

უნივერსიტეტი მუშაობს ინტერნაციონალიზაციის საკითხებზე. საერთაშორისო ურთიერთობების სამსახურის წარმომადგენლებმა დეტალური ინფორმაცია მიაწოდეს ექსპერტთა ჯგუფს ინტერნაციონალიზაციის მიმართულებით განხორციელებულ აქტივობებზე - ორმხრივი და მრავალმხრივი თანამშრომლობის განვითარებაზე ევროპის უნივერსიტეტებთან.

უნივერსიტეტში ფუნქციონირებს უცხოელ სტუდენტთა განყოფილება. განყოფილების წარმომადგენელამ ინტერვიუს დროს ჯგუფთან განაცხადა, რომ მიმდინარე ეტაპზე უცხოელი სტუდენტი არ ფიქსირდება არცერთ პროგრამაზე. ინტერნაციონალიზაციის მთავარ დამაბრკოლებელ გარემოებად უნივერსიტეტში უცხოენოვანი, განსაკუთრებით კი ინგლისურენოვანი პროგრამების არარსებობა დასახელდა.

მტკიცებულებები:

- წესდება;
- წარმომადგენლობითი საბჭოს დებულება;
- ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დებულება;
- სტრატეგიული განვითარების გეგმები;
- ინტერვიუები.

რეკომენდაციები:

1. გადასახედია კონტინგენტის დაგეგმვის მეთოდოლოგია და შესამუშავებელია ქმედითი მექანიზმი სტუდენტების რაოდენობასა და საჭირო რესურსებს (ადამიანური, მატერიალურ-ტექნიკური) შორის ლოგიკური კავშირების გამოსავლენად;

2. უნივერსიტეტში მიმდინარე პროცესების ეფექტიანობის და მდგრადობის უზრუნველყოფისა და გაუმჯობესების მიზნით, მნიშვნელოვანია გადაიხედოს ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები;

რჩევა:

1. ინტერნაციონალიზაციის გაძლიერების მიზნით, მნიშვნელოვანია ადგილობრივ და საერთაშორისო ბაზარზე მოთხოვნადი უცხოენოვანი პროგრამებისა და სასწავლო კურსების განვითარება და დანერგვა.

სტანდარტი 3.

უსდ-ს მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და ადგილზე ვიზიტის შედეგების ანალიზიდან გამომდინარეობს, რომ საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტში საგანმანათლებლო პროგრამები ინიცირებულია და შემუშავებულია დამსაქმებლების მოთხოვნების ანალიზის საფუძველზე, კერძოდ დამსაქმებლებს წარმოადგენენ საქართველოში არსებული სხვადასხვა სპორტის ფედერაციები და საგანმანათლებლო დაწესებულებები, ასევე სამედიცინო კლინიკები. უნივერსიტეტში არსებული პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების და განხორციელების მეთოდოლოგიის მიხედვით და დაინტერესებული მხარეების ჩართულობით დაემატა რამდენიმე პროგრამა: მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო და სპორტის მენეჯმენტის პროგრამები.

უნივერსიტეტს ამ ეტაპზე გააჩნია შემდეგი აკრედიტებული საგანმანათლებლო პროგრამები:

- ფიზიკური მედიცინის და რეაბილიტაციის საბაკალავრო პროგრამა
- ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამა (სპორტი)
- საბაკალავრო პროგრამა ფიზიკური აღზრდა და სპორტი (მწვრთნელი)
- სამაგისტრო პროგრამა ფიზიკური აღზრდა და სპორტი (მწვრთნელი)
- სპორტის მენეჯმენტის სამაგისტრო პროგრამა
- ფიზიკური მედიცინის და რეაბილიტაციის სამაგისტრო პროგრამა
- მასწავლებლის მომზადების ერთწლიანი საგანმანათლებლო პროგრამა

ფიზიკური აღზრდისა და სპორტის რუსულენოვანი საბაკალავრო პროგრამა მილევად რეჟიმშია.

სასწავლო უნივერსიტეტში არსებობს საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების, დაგეგმვის, განხორციელებისა და განვითარების პოლიტიკა.

უნივერსიტეტი საგანმანათლებლო პროგრამების შინაარსი და თანმიმდევრობა ლოგიკურია, სწავლის შედეგები ეყრდნობა საკვალიფიკაციო ჩარჩოს მახასიათებლებს და შესაბამისობაშია

განათლების შესაბამისი საფეხურის დონესთან. სწავლა-სწავლების მეთოდები ითვალისწინებს სასწავლო კურსების სპეციფიკას, ასევე უზრუნველყოფილია არასავალდებულო საგნების არჩევის შესაძლებლობა.

უსდ უზრუნველყოფს პროგრამების შესახებ ინფორმაციის ხელმისაწვდომობას ძირითადად სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის თანამშრომელების მეშვეობით. ვიზიტის პერიოდში სასწავლო პროცესის ელექტრონული სისტემა არ მუშაობდა და განახლების პროცესში იყო. სტუდენტები არჩევითი საგნების შესახებ ინფორმაციას იღებენ უშუალოდ დეკანატის დახმარებით და საგნებზე რეგისტრაციის პროცესიც ხდება უნივერსიტეტის თანამშრომლების დახმარებით.

უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამების სპეციფიკის და სტუდენტების სპორტულ მოღვაწეობაში აქტიური ჩართულობის გამო, ხშირია უნივერსიტეტში ინდივიდუალური გეგმების შემუშავების პრაქტიკა, რომლის წესი გაწერილია მარეგულირებელ დოკუმენტში „ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების მეთოდოლოგია“, სადაც 2.5. პუნქტში აღწერილია, რომ ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავება ხორციელდება სტუდენტთან შეთანხმებით საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელის, სასწავლო პროცესის მართვის განყოფილებისა და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ჩართულობით.

გასაუბრებისას გაირკვა, რომ აღნიშნული გეგმის შემუშავებაში არ არიან ჩართული შესაბამისი პირები და ძირითადად კეთდება ერთი თანამშრომლის მიერ. აღნიშნული გარემოება გასათვალისწინებელია, რადგან გარდა შინაარსობრივი მხარის კომპეტენტურად შესრულებისა, კონტინგენტის გაზრდის შემთხვევაში, შეიძლება ვერ მოხდეს პროცესის უწყვეტი, დროული და კვალიფიციური წარმართვა.

საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტებით გათვალისწინებულ სწავლის შედეგების მიღწევა ფასდება ადეკვატური ფორმების, კომპონენტებისა და მეთოდების მეშვეობით. შეფასებასთან დაკავშირებით არსებული რეგულაციები ნათლად არის გაწერილი და შესაბამისობაშია საქართველოში მოქმედ სამართლებრივ აქტებთან. შეფასების სისტემა წარმოდგენილია საგანმანათლებლო პროგრამებში და სილაბუსებში და სტუდენტი ინფორმირებულია მოქმედი შეფასების სისტემისა და შეფასებასთან დაკავშირებით მოქმედი რეგულაციების შესახებ.

უნივერსიტეტის მიერ განხორციელებულია სტუდენტთა აკადემიური მოსწრების ანალიზი 2018/2019, თუმცა წარმოდგენილ დოკუმენტში წარმოდგენილ ცხრილებში და დიაგრამებში არსებული უზუსტობების გამო რთულია მსჯელობა რაოდენობრივ მაჩვენებლებზე.

უნივერსიტეტის მიერ ასევე ჩატარებულია სტუდენტების გამოკითხვა აკადემიურ პროგრამეთან დაკავშირებით, რომლის მიზანი იყო სტუდენტთა კმაყოფილების დონის დადგენა სპორტის უნივერსიტეტში არსებულ სასწავლო პროგრამასთან დაკავშირებით და ასევე სტუდენტთა შეხედულებით სპორტის უნივერსიტეტში მიღებული ცოდნის და პრაქტიკული უნარების კუთხით მიღებული კომპეტენციებით კმაყოფილება.

აღნიშნული კვლევის ანგარიშის მიხედვით, აღმოჩნდა რომ შედეგების თანახმად სპორტის უნივერსიტეტის სტუდენტთა დიდი ნაწილი კმაყოფილია სასწავლებლისა და პროფესიის შერჩევით და რომ მიღებული ცოდნა საკმარისია და შესაბამისია სამსახურებრივი მოვალეობის შესასრულებლად. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ იმ ტიპის და რაოდენობის კითხვები, რომლებიც გამოყენებული იყო ამ გამოკვლევაში არ ასახავს საგანმანათლებლო პროგრამის შეფასებას და კმაყოფილების იდენტიფიცირებას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია;
- შრომის ბაზრისა და დამსაქმებელთა მოთხოვნების ანალიზი;
- სტუდენტთა, კურსდამთავრებულთა, დამსაქმებელთა გამოკითხვა და შედეგების
- ანალიზი;
- საგანმანათლებლო პროგრამა, სილაბუსები;
- აკადემიური კალენდარი;
- სტუდენტთა, კურსდამთავრებულთა, დამსაქმებელთა კმაყოფილების კვლევა და შედეგების ანალიზი;
- ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების მეთოდოლოგია;
- ინტერვიუს შედეგები;
- საგანმანათლებლო პროგრამები, სილაბუსები;
- სტუდენტთა აკადემიური მოსწრების ანალიზი 2018/2019;
- სტუდენტთა კითხვარი უმაღლესი აკადემიური პროგრამის შეფასებასთან დაკავშირებით;
- სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი.

რეკომენდაციები:

1. რეკომენდირებულია სტუდენტთა ინდივიდუალური გეგმების შემუშავების დროს უნივერსიტეტის მარეგულირებელი დოკუმენტით გათვალისწინებული პროცედურების დაცვა;
2. უნივერსიტეტმა უნდა განსაზღვროს პროგრამის შედეგების მიღწევის სამიზნე ნიშნულები
3. უნივერსიტეტმა უნდა შეიმუშავოს საკვლევ თემასთან რელევანტური კითხვარები და გაკეთდეს შესაბამისი სტატისტიკური ანალიზი სტუდენტთა მიღწევების შესახებ.

სტანდარტი 4.

ვიზიტის დროს დაწესებულებაში დასაქმებული იყო 99 აკადემიური პერსონალი (15 პროფესორი, 34 ასოცირებული პროფესორი, 16 ასისტენტ პროფესორი, 1 ასისტენტი და 33 მოწვეული) და 35 ადმინისტრაციული პერსონალი.

დაწესებულებას შემუშავებული აქვს აკადემიური პერსონალის აფილირების წესი. მიმდინარე ეტაპზე უნივერსიტეტს ჰყავს 72 აფილირებული პერსონალი. აფილირების ხელშეკრულებით გათვალისწინებულია, რომ საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტში აფილირებული აკადემიური პერსონალი უნივერსიტეტის სახელით მიიღებს მონაწილეობას საზოგადოების განვითარებისა და ცოდნის გაზიარების პროცესში და მის მიერ განხორციელებული კვლევის შედეგები ჩაეთვლება აღნიშნულ უნივერსიტეტს.

დაწესებულების მხრიდან წარმოდგენილ იქნა აკადემიური პერსონალის დატვირთვის სქემა, რის მიხედვითაც, აკადემიური პერსონალის ყოველკვირეული დატვირთვა კვირაში შეადგენდა საშუალოდ 8-10 საათს. დაწესებულების ხელმძღვანელ პირებთან გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ დაწესებულება ორიენტირებულია სტუდენტების რაოდენობის გაზრდაზე, რაც უზრუნველყოფს აკადემიური პერსონალის მეტად დატვირთვასა და მოტივაციის გაზრდას. მათი განცხადებით, ჯგუფების არარსებობის გამო დაწესებულების მხრიდან შრომითი ხელშეკრულება არ გაუგრძელდა 25 აკადემიურ პერსონალს.

უსდ-ს მიერ წარმოდგენილი გეგმის შესაბამისად, დაწესებულება სტუდენტთა კონტინგენტის გაზრდას გეგმავს არსებულ პროგრამებსა და სპორტის მენეჯმენტის ახალ საბაკალავრო პროგრამაზე.

უსდ-ს ვიზიტის დროისთვის არ ჰქონდა შემუშავებული პერსონალთან მიმართებით სამიზნე ნიშნულები საგანმანათლებლო და კვლევითის საქმიანობის ეფექტურად წარმართვის მიზნით. ამასთანავე, დაწესებულებას არ ჰქონდა შემუშავებული როგორც აკადემიური, ასევე ადმინისტრაციული პერსონალის მიერ შესრულებული სამუშაოს შეფასების სისტემა. აკადემიური პერსონალის შეფასება ხორციელდებოდა მხოლოდ ლექციებზე მონიტორინგის ჯგუფის დასწრებით, რისი შედეგებიც ასახულია მონიტორინგს ყოველწლიურ ანგარიშში.

ამასთანავე, ექსპერტთა ჯგუფი გაეცნო დაწესებულების მიერ შემუშავებულ „საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტში აკადემიური და საათობრივი ანაზღაურების წესით მოწვეული პერსონალის მიერ ჩატარებული ლექცია, პრაქტიკული და ლაბორატორიული მუშაობის მონიტორინგის, შედეგებზე რეაგირების და გაუმჯობესების წესს“. (აკადემიური საბჭოს დადგენილება (2018 წლის 14 ნოემბერი, ოქმი N 3)), რომლის მიხედვითაც მონიტორინგი გულისხმობს სასწავლო პროცესის მართვის განყოფილების მიერ ყოველდღიურად უნივერსიტეტის მასშტაბით ყველა ლექციის, პრაქტიკული და ლაბორატორიული მეცადინეობების ჩატარების შემოწმებასა და აღრიცხვას.

უსდ-ს ვიზიტის დროისთვის არ იყო განსაზღვრული, თუ როგორ ხდება პერსონალის საჭიროებების კვლევა და შესაბამისად, არ იყო შემუშავებული პერსონალის პროფესიული განვითარების გეგმა, აღსანიშნავია, რომ ადამიანური რესურსების მართვის სამსახურის ძირითადი ფუნქცია-მოვალეობა მხოლოდ ადმინისტრაციული საქმისწარმოებაა და ის არ მონაწილეობს პერსონალის შეფასებისა და განვითარების პროცესში.

დაწესებულების ორგანიზაციული სტრუქტურის მიხედვით, დაწესებულებაში ფუნქციონირებს უცხოელ სტუდენტთა განყოფილება. რომელშიც დასაქმებულია 2

თანამშრომელი. გამომდინარე იქიდან, რომ ამჟამად დაწესებულებას არ ჰყავს უცხოელი სტუდენტები და წინა წლების განმავლობაში ჰყავდა მხოლოდ 3, ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ მნიშვნელოვანია გადაიხედოს აღნიშნული განყოფილების ფუნქციონირების და მასში დასაქმებული თანამშრმლების უფლება-მოვალეობების საკითხი.

მტკიცებულებები:

- ინტერვიუს შედეგები;
- პერსონალის პირადი საქმე;
- აკადემიური პერსონალის აფილირების წესი;
- პერსონალთან გაფორმებული ხელშეკრულებები;
- მონიტორინგის ანგარიშები.

რეკომენდაციები:

1. დაინერგოს პერსონალის შეფასების სისტემა;
2. პერსონალთან მიმართებით შემუშავდეს სამიზნე ნიშნულები საგანმანათლებლო და კვლევითი საქმიანობის ეფექტურად წარმართვის მიზნით;
3. პერსონალის (აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული, ადმინისტრაციული) საჭირო რაოდენობების განსაზღვრა მოხდეს საგანმანათლებლო პროგრამებზე სტუდენტთა მიღების საპროგნოზო მაჩვენებლების ჭრილში;
4. გადაიხედოს ადამიანური რესურსების მართვის სამსახურში დასაქმებული პერსონალის უფლება-მოვალეობები.

სტანდარტი 5

საქართველოს სახელმწიფო ფიზიკური აღზრდისა და სპორტის უნივერსიტეტის სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერების, შეწყვეტის, მობილობის, კვალიფიკაციის მინიჭების პროცედურები განსაზღვრულია სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით. სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი საჯაროა და განთავსებულია დაწესებულების ვებ-გვერდზე. თუმცა, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ვებ-გვერდზე განთავსებული რეგულაცია წარმოადგენს დოკუმენტის ძველ ვერსიას (დამტკიცებული - **2014 წლის 12 თებერვალს**). მოქმედი სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი კი, რომელიც დაწესებულებამ წარმოადგინა ვიზიტის მსვლელობისას, დამტკიცებულია **2015 წლის 30 ოქტომბერს**. ექსპერტთა ჯგუფი სტანდარტის შეფასებისას ხელმძღვანელობს დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტით.

იმისთვის, რომ სტუდენტებს წვდომა ჰქონდეთ მოქმედ სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესზე, რეკომენდებულია, დაწესებულებამ განაახლოს ვებ-გვერდზე განთავსებული ინფორმაცია.

კონსულტაციებს სასწავლო პროცესის დაგეგმვასთან დაკავშირებით სტუდენტები იღებენ ფაკულტეტის ადმინისტრაციის წარმომადგენლებისგან, რაც დასტურდება ინტერვიუებით. მათ აქვთ საშუალება მიიღონ ინდივიდუალური კონსულტაციები სასწავლო კურსების განმახორციელებლებისგან, პროფესორ-მასწავლებელთა სალექციო დატვირთვა იძლევა საშუალებას, იმავე ხარისხით გაუწიონ კონსულტაცია გაზრდილ სტუდენტთა რაოდენობას.

ინტერვიუების შედეგად აღმოჩნდა, რომ სტუდენტები რეგისტრირდებიან მხოლოდ არჩევით სასწავლო კურსებზე, ხოლო სავალდებულო სასწავლო კურსების შემთხვევაში, ისინი ყოველსემესტრულად გადიან ყველა სასწავლო კურსს სასწავლო გეგმის მიხედვით. ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ აღნიშნული პრაქტიკა ეწინააღმდეგება როგორც დაწესებულების სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესს *(მუხლი 9, პუნქტი 5 - დასაშვებია სტუდენტის წლიური დატვირთვა აღემატებოდეს 60 კრედიტს ან იყოს 60 კრედიტზე ნაკლები)* ასევე, სტუდენტთა თავისუფალი არჩევანის შესაძლებლობას.

უნივერსიტეტის სტრუქტურა არ ითვალისწინებს კარიერული მხარდაჭერის ცენტრს, არც ერთი სტრუქტურული ერთეულის ფუნქცია (დებულებებით განსაზღვრული) არ მოიცავს სტუდენტთა კარიერულ მხარდაჭერას, კონსულტაციებს დასაქმებასთან დაკავშირებულ საკითხებზე, დამსაქმებელთა ბაზის შექმნას, სტუდენტთა ინფორმირებას ვაკანსიებზე და სხვა ფუნქციებს, მიუხედავად იმისა, რომ ყველა ზემოხსენებული გაწერილია დოკუმენტში „კარიერული მხარდაჭერის სერვისები“ (დამტკიცებული აკადემიური საბჭოს 2018 წლის 22 ივნისის გადაწყვეტილებით).

სტუდენტებმა ინტერვიუს დროს აღნიშნეს, რომ დაწესებულება ეხმარება მათ დასაქმებაში, თუმცა, ვერ დასახელდა კონკრეტული მექანიზმი. აღნიშნულ საკითხებზე ძირითად პასუხისმგებელ პირად დასახელდა ფაკულტეტის ადმინისტრაცია (დეკანატი) და სასწავლო კურსების განმახორციელებელი პერსონალი. ფაკულტეტების დებულებაში ფაკულტეტის ერთ-ერთ მიზნად განსაზღვრულია სტუდენტთა ინფორმირება სასწავლო პროცესთან დაკავშირებულ საკითხებზე, თუმცა, არა კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებულ საკითხებზე. დოკუმენტის „კარიერული მხარდაჭერის სერვისები“, მიხედვით, ფაკულტეტის ადმინისტრაცია (დეკანატი) ასევე უტარებს სტუდენტებს ტრენინგებს წარმატებულ გასაუბრებასა და CV-ის შედგენასთან დაკავშირებით და აწვდის სტუდენტებს ინფორმაციას სხვადასხვა კონკურსის, სტაჟირების და პროექტის შესახებ.

სტუდენტები თითოეული პროგრამის ფარგლებში, მერვე სემესტრის განმავლობაში, გადიან პრაქტიკას, რაც, ერთის მხრივ, ხელს უწყობს მათ დასაქმებას. მაგალითისთვის, ინტერვიუს მონაწილე ორი კურსდამთავრებული დასაქმდა სწორედ პრაქტიკის ობიექტზე, პრაქტიკის დასრულების შემდეგ. დამსაქმებლებსა და პრაქტიკის ობიექტებთან არ ყოფილა მოლაპარაკება იმის თაობაზე, თუ რამდენი სტუდენტის მიღებას შეძლებენ ისინი პრაქტიკაზე კონტინგენტის გაზრდის შემდეგ.

კონტინგენტის გაზრდის შემთხვევაში არსებობს რისკი, რომ ფაკულტეტის ადმინისტრაციაში არსებული ადამიანური რესურსი (დეკანი, მთავარი (1) და უფროსი სპეციალისტი (1)) არ იყოს საკმარისი მასზე დაკისრებულ სხვა მოვალეობებთან ერთად, განახორციელოს სტუდენტთა

მხარდაჭერა დასაქმებასთან დაკავშირებით, მით უფრო, როდესაც ეს არ შედის მათ ოფიციალურ ფუნქციებში.

ფაკულტეტის ადმინისტრაციის დატვირთვა ასევე მოიცავს სტუდენტებისთვის შეფასების შედეგების გაცნობასა და მათ რეგისტრირებას სასწავლო კურსებზე, რადგან ამ ეტაპზე სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონული სისტემა არ ფუნქციონირებს და ყველა ზემოხსენებული პროცესის ადმინისტრირება ხორციელდება მის გარეშე. კონტინგენტის გაზრდის პირობებში, ყველა ამ ფუნქციის დროული განხორციელება შესაძლოა პრობლემატური აღმოჩნდეს. ადმინისტრაციის განცხადებით, სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონული სისტემა განახლების პროცესშია და ამოქმედდება 2019-2020 სასწავლო წლის დაწყებამდე.

უნივერსიტეტში ფუნქციონირებს საერთაშორისო ურთიერთობების სამსახური, რომელიც აქტიურად მუშაობს როგორც ერაზმუსის პროექტის ფარგლებში გაცვლითი პროგრამების ამოქმედების, ასევე, სხვადასხვა პარტნიორი უნივერსიტეტის მოძიების მიმართულებით. ის ასევე ეხმარება სტუდენტებს საგრანტო განაცხადების მოძიებასა და შევსებაში და სხვადასხვა საერთაშორისო შესაძლებლობების მოძიებაში.

მოცემული მომენტისთვის, სტუდენტებს ჯერ არ მიუღიათ მონაწილეობა გაცვლით პროგრამებში (რამდენიმე სტუდენტი იმყოფებოდა მოკლევადიანი ვიზიტით სომხეთში, თურქეთსა და უკრაინაში). გაცვლითი პროგრამის ამოქმედებისთვის მოლაპარაკებები მიმდინარეობს ვარშავის უნივერსიტეტთან, რომლის დელეგაციის ვიზიტს დაწესებულება ელოდება სექტემბერში. უნივერსიტეტს გაფორმებული აქვს ხელშეკრულება ბუდაპეშტის ფიზიკური აღზრდის უნივერისტეტსა (უნგრეთი) და სპორტის ეროვნულ აკადემია „ვასილ ლევსკისთან“(სოფია, ბულგარეთი). ამასთან, საპროექტო განაცხადი აქვს გაკეთებული შემდეგ უნივერსიტეტებთან პარტნიორობით: ლიეტუვის სპორტის უნივერსიტეტი, იოზეფ პილსუდსკის სახელობის ფიზიკური აღზრდის უნივერსიტეტი ვარშავაში, ბუდაპეშტის ფიზიკური აღზრდის უნივერსიტეტი, სპორტის ეროვნული აკადემია „ვასილ ლევსკი“(სოფია, ბულგარეთი), ალკალას უნივერსიტეტი (ესპანეთი).

მიუხედავად იმისა, რომ გაცვლით პროგრამებს „ბენეფიციარი“ ჯერ არ ჰყავს, ექსპერტთა ჯგუფი ინტერვიუზე დაყრნდნობით მიიჩნევს, რომ უნივერსიტეტი მომდევნო წლებში შესთავაზებს სტუდენტებს გაცვლით პროგრამებს მსგავსი პროფილის უნივერსიტეტებში. საერთაშორისო ურთიერთობების სამსახურის წარმომადგენელთა თქმით, პროგრამის განმახორციელებელი პერსონალი მუშაობს ინგლისურენოვანი სასწავლო კურსების შემუშავებაზე, რათა ისინი მზად იყვნენ, გაცვლითი პროგრამის ფარგლებში მიიღონ საერთაშორისო სტუდენტები.

უნივერსიტეტი აფინანსებს სტუდენტურ ინიციატივებს - სპორტულ ღონისძიებებს და კონფერენციებს. სტუდენტური თვითმმართველობა გეგმავს და ახორციელებს სტუდენტურ ღონისძიებებს. სტუდენტურ თვითთმმართველობას არ აქვს განსაზღვრული წლიური ბიუჯეტი, მათი დაფინანსება ხდება მოთხოვნის შესაბამისად. 2018 წელს სტუდენტური თვითმმართველობისთვის გამოიყო 2 930 ლარი. უნივერსიტეტის სტუდენტები სარგებლობენ

გადახდის მოქნილი სისტემით და მათ ენიშნებათ სტიპენდიები (მაღალი აკადემიური მოსწრებისთვის). კონტინგენტის გაზრდის შემთხვევაში, საჭიროა სტუდენტურ ინიციატივათა დაფინანსების ზრდა. სტუდენტური თვითმმართველობა თვლის, რომ გაზრდილი ნაკადის მიღების შემთხვევაში, სტუდენტების ინტერესი არ დაზარალდება და მათთვის ხელმისაწვდომი სერვისები, ასევე თვითთმმართველობის ბიუჯეტი გაიზრდება. თუმცა, აქვე აღვნიშნავთ, რომ უნივერსიტეტის ადმინისტრაცია, სტუდენტები, კურსდამთავრებულები თუ თვითმმართველობა, ერთხმად საუბრობს ფინანსური რესურსების სიმწირეზე.

მტკიცებულებები:

- სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი;
- უნივერსიტეტის ვებ-გვერდი;
- სტრუქტურული ერთეულების ფუნქციები;
- დოკუმენტი „კარიერული მხარდაჭერის სერვისები“;
- 2018 წლის საქმიანობის ანგარიში;
- მემორანდუმები საერთაშორისო პარტნიორებთან და განხორციელებული აქტივობები;
- ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

1. აუცილებელია კარიერული განვითარების სერვისების განვითარება და სისტემატიზებული სახით ჩამოყალიბება, შესაბამისი სტრუქტურული ერთეულის ან პირის გამოყოფა სტუდენტთა დახმარებისა და კონსულტირებისთვის, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია კონტინგენტის გაზრდის შემთხვევაში;
2. როგორც არსებული, ასევე დაგეგმილი სტუდენტთა კონტინგენტის დროულად და ეფექტურად მომსახურებისთვის, რეკომენდებულია დაწესებულებამ დროულად დანერგოს სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონული სისტემა.

რჩევები:

1. უნივერსიტეტს გადადგმული აქვს ქმედითი ნაბიჯები სტუდენტთათვის გაცვლითი პროგრამების შეთავაზების მიზნით, თუმცა, სტუდენტთა არსებული თუ დაგეგმილი კონტინგენტისთვის საერთაშორისო შესაძლებლობების შეთავაზების მიზნით, მან თავისი ძალისხმევა უნდა მიმართოს გაცვლითი პროგრამების რიცხვის ზრდაზე, მათ ამოქმედებასა და სტუდენტთა მობილობის დაწყებაზე;
2. კონტინგენტის ზრდასთან ერთად, სასურველია გაიზარდოს სტუდენტთა ინიციატივების დაფინანსება;
3. სასურველია, სასწავლო კურსებზე რეგისტრაციის უფრო მოქნილი მექანიზმის შემუშავება სტუდენტებისათვის.

სტანდარტი 6.

უსდ-ს დოკუმენტის „კვლევებისა და შემოქმედებითი საქმიანობის მხარდამჭერი მექანიზმები“-ს თანახმად, უნივერსიტეტის სამეცნიერო კვლევის განვითარების პოლიტიკა

მიმართულია ფუნდამენტური და გამოყენებითი სამეცნიერო კვლევების, მაღალი ტექნოლოგიების შექმნასა და თანამედროვე ექსპერიმენტული კვლევების განხორციელებაზე. აღნიშნული განაცხადი საკმაოდ ამბიციურია იმ მოცემულობისთვის, რაც გამოვლინდა ინტერვიუების დროს. კერძოდ, ბიუჯეტის სიმცირე, სამეცნიერო ბაზების არარსებობა და აკადემიური პერსონალის ინგლისური ენის კომპეტენცია. გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ სასურველია ახალგაზრდა კადრების მოზიდვა და მათი როგორც სამეცნიერო, ისე სასწავლო პროცესში აქტიურად ჩართვა.

უნივერსიტეტის დოკუმენტებში ასახული პოზიციაა უცხოეთის უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებთან თანამშრომლობასა და ევროპულ საგანმანათლებლო და სამეცნიერო სივრცეში ინტეგრაციის ხელის შეწყობა. უნივერსიტეტის მიერ წამოდგენილია ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმები, თუმცა კონკრეტული სამეცნიერო კუთხით აქტივობა ამ დაწესებულებებთან ერთად გასული წლების მანძილზე ჯერ არ განხორციელებულა.

უნივერსიტის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციით დასტურდება ადმინისტრაციის და აკადემიური პერსონალის მივლინებები სხვადასხვა კონფერენციებზე.

ადმინისტრაციასთან ინტერვიუს დროს აღინიშნა, რომ უნივერსიტეტი გეგმავს სადოქტორო პროგრამის შემუშავებას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- კვლევებისა და შემოქმედებითი საქმიანობის მხარდამჭერი მექანიზმები;
- მიმდინარე და დაგეგმილი სამეცნიერო - კვლევითი საქმიანობის პროექტების მოკლე აღწერა;
- კვლევითი საქმიანობის ხარისხის შეფასების მექანიზმი და შეფასების შედეგები;
- სტრატეგიული გეგმა;
- მემორანდუმები;
- ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

1. რეკომენდირებულია საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამების სტუდენტების სამეცნიერო-კვლევით საქმიანობაში ჩართვა და საუნივერსიტეტო სტუდენტური კონფერენციების მოწყობა;
2. უსდ-მ უნდა შეიმუშავოს ახალგაზრდა კადრების კვლევაში/სახელოვნებო საქმიანობაში მოზიდვისა და მხარდაჭერის ეფექტური სისტემა.

სტანდარტი 7

ვიზიტის ფარგლებში ექსპერტთა ჯგუფი გაეცნო ქ. თბილისში, ი. ჭავჭავაძის #49-ში მდებარე სსიპ „საქართველოს სპორტისა და ფიზიკური აღზრდის სასწავლო უნივერსიტეტის“ სარგებლობაში არსებულ უძრავ ქონებას, საკადასტრო კოდებით: 01.14.07.008.153; 01.14.07.008.135.

დათვალიერების და წარმოდგენილი აზომვითი ნახაზების შედეგად დგინდება, რომ უსდ-ს მითითებულ საკადასტრო კოდებზე გააჩნია სტანდარტით გათვალისწინებული ყველა სავალდებულო სივრცე. გეგმაში რთული მოხაზულობის მქონე უნივერსიტეტის კომპლექსი შედგება ძირითადი ოთხსართულიანი სასწავლო შენობისგან, სპორტული დარბაზების, გარე სპორტული მოედნებისა და სხვა დამხმარე შენობებისგან.

ვიზუალური დათვალიერებით ნათლად ჩანს, რომ შენობის ძირითადი ოთხსართულიანი შენობა განიცდის არათანაბარ ჯდენით დეფორმაციებს, რის გამოც ნაწილი აუდიტორიების ფლიგელის აღდგენა მიზანშეუწონელია, რასაც ასევე ამტკიცებს სსიპ „ლ. სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ბიუროს“ მიერ მომზადებული დასკნაც. შენობის მზიდ კედლებზე ბზარების ადგილებში მოწყობილი ყალაურების გახსნით დგინდება, რომ შენობა განაგრძობს დეფორმაციებს, აქედან გამომდინარე მიზანშეწონილია უსდ-ს მხრიდან წარმოდგენილ იქნას შესაბამისს სფეროში აკრედიტირებული ორგანოს მიერ მომზადებული კონსტრუქციული დასკვნა, შენობა-ნაგებობების ექსპლუატაციის უსაფრთხოების თაობაზე.

ვიზიტის დროს დათვალიერებულ და შესწავლილ იქნა უსდ-ში არსებული მატერიალურ-ტექნიკური მდგომარეობა, რომლის შედეგადაც დადგინდა შემდეგი:

- სანიტარული კვანძების ნაწილი (ძირითადად სპორტული დარბაზების ფლიგელში) არ არის სათანადოდ მოწესრიგებული და გამოსულია მწყობრიდან სანტექნიკური მოწყობილობები. არ გააჩნია უწყვეტი განათება, ვენტილაცია. არ არის წარმოდგენილი სანიტარული ნორმების დაცვის დამადასტურებელი დოკუმენტი.
- შენობაში 2015 წელს არის მოწყობილი ცენტრალური გათბობის სისტემა, თუმცა არ არის წარმოდგენილი გათბობისა და ვენტილაციის სისტემების გამართულად მუშაობის დამადასტურებელი დოკუმენტი.
- უსდ-ს სახანძრო უსაფრთხოების კუთხით გააჩნია საევაკუაციო გეგმები ყველა სართულზე, ასევე გააჩნია საჭირო ინვენტარის ნაწილი, თუმცა არ არის წარმოდგენილი დასკვნები შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების შესახებ.
- შენობა-ნაგებობების უსაფრთხოების მიზნით უსდ-ს გატარებული აქვს გარკვეული ღონისძიებები: წესრიგის დაცვის მიზნით არის დაცვის თანამშრომელი, შიდა და გარე ტერიტორიაზე დამონტაჟებული აქვს ვიდეო ჩანაწერის შენახვის ფუნქციით აღჭურვილი უსაფრთხოების კამერები, თუმცა არსებული ვერ ახდენს გარე პერიმეტრის სრულ აღქმას. არსებული საევაკუაციო გასასვლელების ნაწილი ვერ აკმაყოფილებს სტანდარტს, რადგან კარების ნაწილი არ იღება შიგნიდან გარეთ და მოწყობილია რკინისგან. არ არის წარმოდგენილი დასკვნა შენობა-ნაგებობების უსაფრთხოებისა შესახებ.
- უსდ-ში არის პირველადი სამედიცინო დახმარების აღმოჩენისათვის საჭირო ინვენტარით აღჭურვილი სამედიცინო კაბინეტი, ბუნებრივი და ხელოვნური განათებით. ოთახს არ მიეწოდება ცხელი წყალი და არ ნიავდება ბუნებრივი წესით მუდმივად.

- უსდ-ში სპეციალური საჭიროების მქონე პირის თავისუფლად გადასაადგილებლად მოწყობილია პანდუსები მხოლოდ პირველ სართულზე, რომლებიც ფუნქციურად გამოუსადეგარია და ვერ აკმაყოფილებს ქვეყანაში მოქმედ რეგულაციებს.
- უსდ-ში არსებული ინფრასტრუქტურული მდგომარეობის გათვალისწინებით სპეციალური საჭიროების მქონე პირს ვერ აქვს დამოუკიდებლად წვდომა პროგრამით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან.
- უსდ-ში მოწყობილია სპეციალური საჭიროების მქონე პირთთვის დამატებითი სანკვანძი პირველ სართულზე, თუმცა მისი განლაგებიდან გამომდინარე ფუნქციურად შშმ პირთათვის გამოუსადეგარია.
- შენობის მიმდებარედ სპეციალური საჭიროების მქონე პირისთვის შესაძლებელია შეუფერხებლად შენობამდე მიღწევა, თუმცა არ არსებობს მისთვის გამოყოფილი ავტოსადგომი.

ვიზიტის ფარგლებში ექსპერტთა ჯგუფი გაეცნო უსდ-ში არსებულ საბიბლიოთეკო რესურსებს. სამკითხველო დარბაზში განთავსებულია 2 კომპიუტერი. საჭიროების შემთხვევაში სტუდენტებს შეუძლიათ ისარგებლონ ბიბლიოთეკარისთვის განკუთვნილი კომპიუტერებითაც. სტუდენტებს აქვთ შესაძლებლობა გაეცნონ წიგნების ელექტრონულ ვერსიებს. სამეცნიერო ელექტრონულ მონაცემთა ბაზების მისამართები მითითებულია და მათზე არის თავისუფალი წვდომა. სასწავლო წლის დასაწყისში ახალ სტუდენტებს უტარდებათ საინფორმაციო პრეზენტაცია საბიბლიოთეკო რესურსის გამყენებასთან დაკავშირებით.

ვიზიტის დროს ექსპერტებმა შერჩევითად გამოითხოვეს სილაბუსში მითითებული წიგნები და დარწმუნდნენ რომ ამ წიგნების ბეჭდური ვერსიები ინახება ბიბლიოთეკაში.

ვიზიტის დროს ექსპერტთა ჯგუფი გაეცნო უსდ-ს სტუდენტებისა და აკადემიური პერსონალისთვის ხელმისაწვდომ ელექტრონულ ბაზებს და დარწმუნდა რომ ბიბლიოთეკის თანამშრომლებს აქვთ ბაზების შესახებ ცოდნა, შეუძლიათ დახმარების გაწევა. რაც შეეხება სტუდენტთა და აკადემიური პერსონალის მიერ ელექტრონული ბაზების გამოყენებას, წარმოდგენილი დოკუმენტების და ინტერვიუების დროს მიღებული ინფორმაციის შედეგად გამოვლინდა, რომ ამ ეტაპზე ბაზების გამოყენება აქტიურად არ ხდება, სტუდენტებს და აკადემიურ პერსონალს აქვს ინფორმაცია ბაზების არსებობის შესახებ, თუმცა ხშირად არ უწევს გამოყენება.

უნივერსიტეტს გააჩნია ორი კომპიუტერული კლასი, თითო დაახლოებით 25 სტუდენტზე გათვლილი. ექსპერტთა ჯგუფის მიერ ვიზიტის ფარგლებში ვერ მოხერხდა უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონული სისტემის მუშაობის შეფასება, ვინაიდან განახლების პროცესში იყო. ადმინისტრაციის ინფორმაციით ელექტრონული სისტემის ამუშავება გაუმჯობესებული სახით იგეგმება 2019-2020 წლის დაწყებამდე.
უნივერსიტეტის ოფიციალური ვებ-გვერდი ფუნქციონირებს და მასზე ატვირთულ მასალებს სტუდენტები იყენებენ სასწავლო მიზნებისათვის, თუმცა ვებ-გვერდის განახლება არ ხდება

რეგულარულად და სრულყოფილად არ ასახავს უნივერსიტეტში მიმდინარე პროცესებს. დასახვეწია ვებ-გვერდის ორგანიზაციულ-ტექნიკური მხარე. ინგლისურენოვანი ვებ-გვერდი არ მუშაობს გამართულად.

დაწესებულების მიერ წარმოდგენილია 2018 წლის ფინანსური ანგარიში, საქმიანობის წლიური ანგარიში, ასევე 2019 წლის დაგეგმილი ბიუჯეტი. უნივერსიტეტის დაფინანსების ძირითადი წყაროებია სწავლის საფასურის გადასახადი და სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებული თანხები. სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებული თანხა სტაბილურია და შეადგენს 1 300 000 ლარს. დაწესებულების მიერ საკუთარი სახსრებით მიღებული შემოსავალი აჩვენებს მცირე ზრდის ტენდენციას.

უნივერსიტეტს აქვს შემოსავლის სხვა წყაროებიც - მაგალითად, კვალიფიკაციის ამაღლებისა და ტრენინგების მომსახურების გაწევისთვისა და მოედნების გაქირავებისგან, თუმცა მათი ხვედრითი წილი საკმაოდ მცირეა (მთლიანი ბიუჯეტის 2.7% საკუთარი სახსრებით მიღებული ბიუჯეტის 5% და 2.11%- 5%). სასურველია, უნივერსიტეტის ადმინისტრაციამ შეიმუშავოს სტრატეგია სხვა წყაროებიდან შემოსავლების ზრდისა და ამ გზით დაფინანსების დივერსიფიცირებული წყაროებისა და უნივერსიტეტის მდგრადი განვითარების უზრუნველსაყოფად.

ვინაიდან უნივერსიტეტის დაგეგმილი ბიუჯეტი არ აძლევს ექსპერტებს საშუალებას განასხვავონ ხარჯვითი მუხლები, სტანდარტის შეფასებისას ვეყრდნობით 2018 წლის ფინანსურ ანგარიშს.

უნივერსიტეტის ხარჯების უდიდესი ნაწილი - 72% ხმარდება შრომის ანაზღაურებას (დაანგარიშებულია დაწესებულების მიერ წარმოდგენილი 2018 წლის ანგარიშის მიხედვით - ხარჯვითი ნაწილი). „შტატიან თანამშრომელთა“ ჯამური ხელფასი თითქმის ორჯერ (1.75) ნაკლებია „შტატგარეშე მომუშავეთა“ ანაზღაურებაზე. 2019 წლის დაგეგმილ ბიუჯეტში შრომის ანაზღაურება „საკუთარი სახსრებით“ გაზრდილია 2018 წლის მონაცემთან შედარებით (2018 წლის ფინანსურ ანგარიშში მუხლით „შრომის ანაზღაურება“ საკუთარი სახსრებით გახარჯულია 52 675 ლარი, 2019 წლის ბიუჯეტში კი გაწერილია 473 000 ლარი). ბიუჯეტი არ იძლევა ადმინისტრაციული და აკადემიური პერსონალის ხელფასების განსაზღვრის საშუალებას.

2018 წლის ფინანსური ანგარიშიდან არ ჩანს, ბიუჯეტის რა ნაწილი მოხმარდა ბიბლიოთეკის განვითარებას, ან სამეცნიერო კვლევების დაფინანსებას და/ან სტატიების გამოქვეყნების ხარჯებს. თუმცა, ბიუჯეტის დარჩენილი ნაწილიდან (28% - 622 271 ლარი), ხარჯვით მუხლში „სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება“ გაერთიანებულია რეკლამის ხარჯი, სამეცნიერო და სხვა მასალების ბეჭდვა და სხვ. 2018 წლის ხარჯი ამ მუხლით შეადგენს 45 177 ლარს (მთლიანი ხარჯის 2%). ასევე არ ჩანს სტუდენტთა კვლევითი ან სხვა საქმიანობის დაფინანსებისთვის გამოყოფილი თანხები. აქედან გამომდინარე რთულია შევაფასოთ, თუ რომელი ხარჯვითი ნაწილები იზრდება კონტინგენტის დაგეგმილ ზრდასთან ერთად. ამასთან, სტუდენტთა კონტინგენტის გაზრდის შემთხვევაში, დაწესებულება გეგმავს

სტუდენტთა გაზრდილი ნაკადის მიღებას 2020-2021 წლიდან, შესაბამისად, 2019 წლის ბიუჯეტი დაგეგმილია არსებული სტუდენტთა რაოდენობის შესაბამისად.

აკადემიურმა პერსონალმა ინტერვიუს მსვლელობისას დაადასტურა, რომ ხდება მათი კვლევითი საქმიანობის დაფინანსება (მაგ. სახელმძღვანელოს გამოცემა), თუმცა, მათი თქმით, წინასწარ არ არის განსაზღვრული წლიური ბიუჯეტი კვლევით საქმიანობის დაფინანსებისთვის და ფინანსების გამოყოფა ხდება მოთხოვნის შესაბამისად.

უნივერსიტეტში ფუნქციონირებს საფინანსო სამსახური, რომელშიც დასაქმებულია სამი ადამიანი და რომელიც მონაწილეობს ბიუჯეტის შედგენაში. ინტერვიუების დროს ადმინისტრაციულმა პერსონალმა და საფინანსო სამსახურმა განაცხადა, რომ ერთიანი ბიუჯეტის შედგენა ხდება სამსახურების მიერ წარმოდგენილი დაგეგმილი ბიუჯეტის შესაბამისად - ბიუჯეტი განიხილება და საჭიროების შემთხვევაში მოდიფიცირდება 15% - ის ფარგლებში. მათი განცხადებით, საგანმანათლებლო პროგრამებისთვის განხორციელებისთვის საჭირო ინვენტარის შეძენა (მაგ. მულიაჟები) ხდება შესაბამისი მოთხოვნის შედეგად, ბიუჯეტში წინასწარ არ არის განსაზღვრული სხვადასხვა აქტივობისთვის გამოყოფილი თანხები.

რეკომენდებულია, დაგეგმილი ბიუჯეტი მოიცავდეს შესაბამის მუხლებს - მაგ. საბიბლიოთეკო რესურსის განვითარების, სტუდენტთა მხარდაჭერის, სტიპენდიების, სამეცნიერო გრანტებისა და სხვ. რათა უზრუნველყოფილი იყოს ფინანსური რესურსების ეფექტური ხარჯვა.

იმის გათვალისწინებით, რომ სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმებს არ ახლავს ფინანსური გეგმა და რომ 2019 წლის დაგეგმილი ბიუჯეტი არ არის დეტალურად გაწერილი, რთულია იმის შეფასება, რამდენად უზრუნველყოფს ფინანსური რესურსი სტრატეგიული განვითარების გეგმით დასახული მიზნების მიღწევას. ფინანსურ სამსახურს სტრატეგიული განვითარების გეგმის შედგენაში მონაწილეობა არ მიუღია.

თუ გავითვალისწინებთ შრომითი ანაზღაურების სიდიდეს, ფინანსური რესურსები საკმარისი არ არის უნივერსიტეტის მდგრადი განვითარებისთვის. იმისთვის, რომ უზრუნველყოფილი იყოს უნივერსიტეტის შემდგომი განვითარება, გაზრდილი სტუდენტთა კონტინგენტის მომსახურება და თავიდან იქნას აცილებული რისკები, რეკომენდებულია, უნივერსიტეტმა შეამციროს შრომის ანაზღაურების ხვედრითი წილი და გაზარდოს დაფინანსების სხვა წყაროებიდან მიღებული შემოსავალი. ვფიქრობთ, აღსანიშნავია, რომ ექსპერტთა ვიზიტის მსვლელობისას, თითოეული ინტერვიუს მონაწილე - ადმინისტრაციული, აკადემიური/მოწვეული პერსონალი, სტუდენტები, კურსდამთავრებულები საუბრობენ ფინანსური რესურსების სიმწირესა და უნივერსიტეტის დაფინანსების ზრდის აუცილებლობაზე.

დაწესებულებას წარმოდგენილი აქვს ფინანსური აუდიტის დასკვნა.

მტკიცებულებები:

- სსიპ „ლ. სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ბიუროს“ მიერ მომზადებული დასკნა;
- შენობის ვიზუალური დათვალიერების შედეგები;
- შენობის ვიზუალური დათვალიერებისას გადაღებული ფოტოები;
- ელექტრონული სამეცნიერო ბაზების გამოყენების სტატისტიკა;
- ბიბლიოთკის მომსახურების შეფასება;
- საერთაშორისო ელექტრონულ საბიბლიოთეკო ქსელში ჩართულობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია;
- უსდ-ს ვებ-გვერდი;
- ინტერვიუს შედეგები;
- ბიუჯეტი;
- 2018 წლის ფინანსური და საქმიანობის წლიური ანგარიში;
- ფინანსური აუდიტის დასკვნა.

რეკომენდაციები:

1. მოსაწესრიგებელია სანიტარული კვანძები და წარმოსადგენია სანიტარული ნორმების დაცვის დამადასტურებელი დოკუმენტი;
2. წარმოსადგენია გათბობისა და ვენტილაციის სისტემების გამართულად მუშაობის დამადასტურებელი დოკუმენტი;
3. წარმოსადგენია დასკვნა შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების შესახებ;
4. უსდ-მ უნდა უზრუნველყოს პირველადი სამედიცინო დახმარების კაბინეტის ცხელი წლით მომარაგება და ბუნებრივი წესით განიავების მუდმივი შესაძლებლობა;
5. უსდ-მ უნდა უზრუნველყოს შენობის ადაპტირება სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირთათვის;
6. უზრუნველყოფილ იქნას ვებ-გვერდის გამართულად მუშაობა და განთავსებული ინფორმაციის რეგულარული განახლება;
7. ბიუჯეტის დაგეგმვისას გათვალისწინებული იქნას და წინასწარ დაიგეგმოს უნივერსიტეტის საქმიანობისთვის და განვითარებისთვის საჭირო ფინანსური რესურსები, მათ შორის: ბიბლიოთეკის განვითარებისთვის, კვლევების დაფინანსებისთვის, სტუდენტთა კვლევით პროექტებში ჩართვის, სტუდენტთა სტიპენდიების, ინფრასტრუქტურის განვითარებისა და სხვ. რაც უზრუნველყოფს ფინანსების ეფექტიან ხარჯვას;
8. რისკების შესამცირებლად, უნივერსიტეტმა იზრუნოს დაფინანსების წყაროების გაზრდასა და მათ დივერსიფიცირებაზე;
9. უნივერსიტეტმა დასახოს გეგმა შრომითი ანაზღაურების ხვედრითი წილის შემცირებაზე, რაც უზრუნველყოფს უნივერსიტეტის განვითარებისთვის გამოყოფილი ფინანსური რესურსების ზრდას;
10. რეკომენდებულია სტრატეგიული განვითარების გეგმის შედგენაში ფინანსური სამსახურის მონაწილეობა, რათა განსაზღვრული სტრატეგიული მიზნები და სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული აქტივობები ფინანსურად მიღწევადი იყოს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრები:

ეკატერინე აზარაშვილი

ვახტანგ ბაბუციძე

ხათუნა საგანელიძე

მაკა გველესიანი

თინათინ გაბრიჩიძე